№ 68

სამშაბათი, 30 მარტი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 68

სამშაბათი, 30 მარტი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

თავ. კონსტანტინე დავითის ძე და კნ. ეფემია დავითის ასული ნიჟარაძეები შვილებითურთ და ძმისწულებითურთ, გულითადის მწუხარებით აუწყებენ-რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა დიდის ხნის ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში 26 მარტს

**თავ. სიმონ დავითის ძის ნიჟარაძისას,**

სთხოვენ მობრძანდნენ 30 მარტს, დილის 9 საათზედ, ქ. ქუთაისს, თავ. კონსტანტინე ნიჟარაძის სახლში, მიცვალებულის გვამის განსვენებაზედ დასასწრებლად. (1—42—1)

გიორგი დავითის ძე და იოსებ გიორგის ძე ქუთათელაძეები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი შვილისას, ხოლო მეორე ძმისას

**დავით გიორგის ძის ქუთათელაძისას,**

სთხოვენ მობრძანდენ სოფ. ივანდიდში, 31 მარტს, დილის 10 საათზე, მიცვალებულის გვამის განსვენებაზე დასასწრებლად. (1—ნ.—1)

**ს ა ხ ა ზ ი ნ ო  თ ე ა ტ რ ი**

სამშაბათს, 30 მარტს,

კნეინა ნინო დავითის ასულის ჩოლოყაშვილის თაოსნობით გამართული იქმნება

**საგანგებო წარმოდგენა.**

წარმოდგენილი იქმნება ქართულ ენაზე

I

**ს ა მ ა გ ე ლ ი**

კომედია 2 მოქმედებათ თავ. დ. ერისთავისა.

II

რუსულ ენაზე

**მოწყვეტილი ვარსკვლავი**

ერთი მოქმედება.

III

**ცხოველი სურათები**

1) თამარი „დემონიდამ“.
2) ლხინი და ქორწილი მაკოვსკისა.
3) მაისის ღამე.
4) თამარ მეფე და რუსთაველი.

ამ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ: ე. პ. ტებენკოვისა, მ. გ. ციტოხცევისა, ქ-ნი გერშელმანისა, კნ. ე. მ. წერეთლისა, კნ. მ. ს. წერეთლისა, დ. რ. ფრიდონოვისა, კნ. მ. თ. ბარათაშვილისა, ა. პ. ოპოჩინინისა, ი. ბილფელდისა, ქ-ნი იუხნოვიჩისა, ე. გ. თათოევისა, კნ. ვ. რუსიშვილისა, ბ. ს. მამაცაშვილისა, ლეგრანისა, კნ. მ. ქ. ხერხეულიძისა, კნ. ივ. ყალავანდიშვილისა, კნ. ა. კ. ერისთავისა, კნ. ე. გ. ერისთავისა, ბუჭყიეესა, სარაჯიშვილისა. ბ-ნნი პ. ა. ოპოჩინინი, ვ. ნ. ტატიშჩევი, თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, გ. დ. ჟურული, თავ. დ. კ. მიქელაძე, თავ. კ. ა. ერისთავი, ბეტულინსკი, თავ. ნ. დ. ერისთავი, თავ. ა. რ. ვახვახიშვილი, თავ ლ. რ. ვახვახიშვილი, თავ. ვ. ლორთქიფანიძე, თავ. პ. რ. წერეთელი და ნაცვლიშვილი.

ლოჟის და პირველი წყებების ბილეთები გაყიდულია.

**ფ ა ს ე ბ ი  მ ო მ ა ტ ე ბ უ ლ ი ა.**

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ა. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ვ. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ა. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პრიტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. მ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ბ. ბურგი.** $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ)

ქ. ქუთაისი

**ე ქ ი მ ი**

**ნ. გ. ჩიჩინაძე**

იღებს ავადმყოფებს

(ლევაშოვის ქუჩაზედ, პეტრე ხარაზოვის სახლში, № 13).

დილის 9—11 და საღამოს 4—6 საათამდის. (—6.—17)

## მთავრობის განკარგულებანი.

დანიშნულ იქმნა ქვეითა მე-39 დივიზიის უფროსი თავადი ამირეჯიბი—კავკასიის ჯართა პირველ კორპუსის უფროსად.

# ფელეტონი

### სომეხთა მეცნიერნი

და

### ქვათა დადადი

„ეგრე მტრისა არ მეშინის,
რადგან ცხადად მაწყინარობს;
მოყვარესა—მტერსა ვუფრთხი,
მემოყვრება, მოცინარობს“...

რუსთაველი

(შემდეგი *)

## IV

სომეხთა მწიგნობარ-მეცნიერთა ამბავი დიდს მდინარე წყალსა ჰგავს: რამოდენადაც ნაპირიდამ შიგ შესტოპავთ, იმოდენად უფრო ღრმაში შესდიხართ, უფრო მეტს სიგრძე-სიგანესა ჰხედავთ. თან-და-თან მათი სილაღე, კადნიერება და თავ-გასულობა ჰმატულობს და უფრო გაბედვით თავს იქებენ, უფრო გულ-ახდილად გვექცევიან ჩვენც. მათ მიერ ერთხელ დადგინებული პროგრამმა მოქმედებისა, ერთხელ და ერთხელ შეთვისებული თვალთ-მაქცური ხერხი და ოინები ისე აშკარად, ისე ცხადად, ისე ვრცლად არსად არ იხატება, როგორც ერთს ევროპიულ გაზეთში, საცა დაწყობილად მოთხრობილია ყოველივე ის, რაც საქებსადიდებელია სომხისა, გასაბათილებელია ქართვლისა და რაც აშკარად ჩაგონებულია თვით ამ მწიგნობარმეცნიერთაგან. აქ ეს ვაჟბატონები აღარა ჰმალავენ, არა სახსარს აღარ ჰთაკილობენ, აღარას მორცხობენ. პირდაპირ და გულ-ახდილად იმისთანა ხერხითა და სახსრებით ჰსაქმობენ, რომელთ ხელის მოკიდება და სირცხვილის ალიმულის მოდება სახეზე ერთი უნდა იყოს ყოველ სხვა კაცისათვის—სომეხი იქნება, თუ სხვა მილეთისა.

უკანასკნელ ოსმალთან ომების დროს, სახელდობრ, 1877 წელს ერთმა საფრანგეთის გაზეთმა „Temps“ აქ ჩვენკენ ერთი კორრესპონდენტი გამოგზავნა სახელად კუტული. ამ კუტულმა აქედამ კორრესპონდენციები უგზავნა ხსენებულ გაზეთს და თითქმის მთელი ორი თვე აბეჭდვინა. ეს ბ-ნი კუტული აი რასა სწერს იმის თაობაზე თუ—ვის ჩაუვარდა ხელში ჯერ მაშინ, როცა ვლადიკავკავიდამ, ჩვენკენ წამოსულს, ერთი სადგური ფოსტისა ძლივს გამოევლო. ჯერ კიდევ ბალტაში [1]) დაჰხვედრია, განგებ თუ შემთხვევით, ერთი აფიცერი არტილლერიისა შეშელი სომეხი. ამას ჩაუსვამს იგი თავისს „პოვოზკაში“ და მოუყვანია ტფილისს. რა უამბნია მისთვის ამ აფიცერს გზა-და-გზა—ამისი არა ვიცით-რა. იმედი-კია ბევრს კარგს ეტყოდა ჩვენდა შესამკობლად. ამ იმედს იმაზე ვამყარებთ, რომ ამ ბ-ნს აფიცერს მოსვლისავე უმალ ტფილისში წაუყვანია თავისი ახალი სტუმარი აწ განსვენებულ გრ. არწრუნთან, „მშაკის“ რედაქტორთან, რომელიც, კუტულის სიტყვით, „ლიბერალთა დასის წინამძღოლია და თუმცა სასულიერო წოდებისა არ არის, მაგრამ სომხებ შორის იმავე როლს ჰთამაშობს, როგორსაც დელლინგერი და მამა გიაცინტე კათოლიკეთა შორის და რომელსაც უკეთ ესმის სომეხთა სამღვთო წერილი, ვიდრე თვით კათოლიკოზსაო“.

რა თქმა უნდა, კუტული ეგზამენს ვერ გაუკეთებდა კათალიკოზს სომხებისას, მაგრამ მაინც გადაჭრილად ამბობს, ეს ასეაო. საიდამ შეუტყვია ეს ასეთი უპირატესობა არწრუნისა და ასეთი ქვეითად-ყოფნა პატივ-ცემულ კათალიკოზისა? აშკარაა, ან თვითონ არწრუნს გაუბერია თავისი თავი, ან სხვას ვისმე მაღლა თაროზე შეუსკუპებია განგებ, რომ უცხო კაცს თვალები აბმოდა და თავისის თვალით არა მოეჩხრიკა რა. აშკარაა, ან თვითონ არწრუნი, ან ვილაცა ცდილა ეს ამისთანა უცნაური ამბავი ჩაეწვეთებინა ყურში ამ ახალ მოსულ ფრანგისათვის, რომ აბრუ არწრუნისა განედიდებინათ მისს თვალში და ადვილად მინდობოდა ამისთანა ბრძენს კაცს და ის დაენახა, რასაც დაანახვებდა—ეს დელლინგერი და გიაცინტე სომხებისა. რომ კარგად დაანახვებდა, რა თქმა უნდა, ეჭვი არავის ექნებოდა.

ისიც უამბნიათ, რომ არწრუნი ჯერ მოსკოვში განათლებულა და გამეცნიერებულა, მერე პეტერბურგში და სულ ბოლოს ჰეიდელბერგში და ძალიან განვითარებულია ფილოსოფიაშიო. რომ უფრო მაღლა ასწიონ ეს ძალიან განვითარებული ფილოსოფოსი, ერთი დიდი ღირსებაც ზედ-დაუმატებიათ, სახელდობრ, ისა, რომ მისი ძმა გერმანიაში პროფესსორიაო. თუმცა ძმის პროფესსორობა არა-პროფესსორისათვის დიდი თამასუქი არ არის, მაგრამ ესეც-კი არ დაჰვიწყებიათ არწრუნის განდიდებისათვის. ესე გაუბერიათ არწრუნი, თუმცა ტიკს მაშინ ჰბერვენ, როცა შიგ არა დგა-რა. ასე მოუმზადებიათ უცხო სტუმარი, რომ მერე ყოველივე სიტყვა არწრუნისა ბაჯაღლო ოქროდ მიეღო. ფუქსავატი ფრანგი, რა თქმა უნდა, მახეში გაება და რაც ჩასძახეს, ის ამოიძახა გაუჩხრეკლად, გამოუძიებლად. აბა დაუკვირდით ბალტაში დახვედრას და მთელს ამ ამბავს, თუ არ დაინახოთ—რა ხერხები სცოდნიათ უცხო კაცის გაბრიყვებისათვის და ჩათრევისათვის. ეს ჯერ ყვავილებია, ხილი მერე იქნება.

რაკი ამისთანა შარავანდედით შემოსილა განსვენებული არწრუნი, აუღია და კუტული წაუყვანია ჯერ ტფილისის საქალაქო საბჭოში, რომელიც კუტულისათვის „პატარა პარლამენტად“ დაუნახვებია, საცა გამგეობის წევრნი მინისტრებად მოსჩვენებია ბ-ნს კორრესპონდენტს და არწრუნი თავისის ლიბერალურ დასით ოპპოზიციად. მერე გასძღოლია არწრუნი და დაუტარებია სომხის ეკკლესიები. აქ კუტულის გაჰკვირვებია ტერ-ტერების მშვენიერი და ძვირფასი სამოსელი. აბა რა ღლისათვის-ღა შეინახავდნენ!.. შემდეგ წაუყვანია ეს უცხო სტუმარი სომხის სკოლებში. კუტული ქებით იხსენიებს მშვენიერ თვალებს სომხის მოსწავლე ქალებისას, თუმცა სახის ერთობ სილამაზეზე-კი ბოდიშს იხდის, უკაცრაოდაო.

განსვენებულ არწრუნს შეჰყავს კუტული სომეხთა ინტელიგენციის წრეში. კუტული გვისახელებს ვინ გაუცვნია არწრუნის წყალობითა, ხოლო საჭირო არ არის ჩვენ აქ ჩამოვთვალოთ. საკმაოა ვიცოდეთ, რომ სომეხთა ინტელიგენციის წრეში არწრუნს დაუტრიალებია თავისი ახალი მეგობარი, ანუ მწე-მქებარი, როგორც უწინ იტყოდნენ. გაუმართეს სადილ-ვახშმები, ალხინეს, შეაქციეს შინა, თუ გარედ ბაღებში, უმღერეს სიმღერები, რომანსები და კუტული სჩივის, ერთ ამისთანა ლხინიდამ ისე შეზარხოშიანებული დავბრუნდი შინაო, რომ კალმისათვის ვერ მომიკიდნია ხელი, ისე ამერია თავში აზრებიო. ყველგან, საცა-კი ლხინს დასწრებია, სულ სომხური საჭმელები მიურთმევიათ და ეს საჭმელები ძალიან მოსწონებია ხელიხელ სატარებელ სტუმარს არწრუნის ლიბერალურ დასისას. მერე გაუწვევიათ შინდისში, რაღაც დღეობა ყოფილა. აქ ხომ მთლად აღტაცებაში მოუყვანიათ. მხოლოდ ერთს რასმე გაუოცებია. თურმე ნუ იტყვით, ვინც-კი მეჯლისსა და დღეობაში ქალი უნახავს, ისეთი „დიდი ცხვირი ჰქონდა-

[1]) პირველი სადგურია ფოსტისა ვლადიკავკავიდამ ჩვენკენ.

*) იხ. „ივერია“ № 67.

გადაყვანილ იქმნენ: კავკასიის პირველ საპიროთა ბატალიონის კაპიტანი ჩერქეზიშვილი—კავკასიის მე-2 საპიროის ბატალიონში; მომრიგებელ მოსამართლეთა თანაშემწენი: სიღნაღისა ხიმშიაშვილი და ცალენჯიხისა ჭიჭინაძე, პირველი—გორის ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ, ხოლო მეორე—სურმალინის ნაწილისა.

### შემოწირულება

კნ. რუსუდან დიმიტრის ასულმა მელიქიშვილისამ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მომავალ ბაზრობისათვის შემოსწირა ცამეტი ფაიფურის მეტად ლამაზი, ძვირფასი და კარგის ხელოვნების ნივთი.

## ახალი ამბავი

*** კვირას, 28 მარტს, საქართველოს ექსარხოსმა, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ აკურთხა აჩაღლების ახალი ეკკლესია. კურთხევას მრავალი ხალხი დაესწრო.

*** გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 30 მარტს, სახაზინო თეატრში, კნ. ნ. დ. ჩოლოყაშვილის თაოსნობით გამართული იქმნება ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ წარმოდგენა. წარმოდგენილი იქმნა ქართულს ენაზედ „საძაგელი“, კომედია დ. ერისთავისა და რუსულს ენაზედ „მოწყვეტილი ვარსკვლავი“. შემდეგ ცოცხალი სურათები იქმნება და დგმული.

*** კვირას, 28 მარტს, ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის სადგომში, უგან. თავ. პ. ა. გრუზინსკის თავმჯდომარეობით მოხდა არჩევანები ამ ბანკის 35 რწმუნებულისა და 5 მათის კანდიდატისა. ეს რწმუნებულნი არჩეულ იქმნენ ბანკის პირველ ხარისხის მესხებელთაგან. არჩეულ იქმნენ: დ. ზ. სარაჯიშვილი, ვ. დ. გაბაშვილი, რ. დ. ქართველიშვილი, ა. ი. კობიაშვილი, ა. ს. წურინოვი, ა. ნ. თაიროვი, დ. ა. სუმბათაშვილი, ა. თ. ფრიდონოვი, გ. დ. გაბაშვილი, ნ. ზ. ცხვედაძე, თავ. ვ. ს. მიქელაძე, ა. ო. ოსიფოვი, თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, უგან. თავ. პ. ა. გრუზინსკი, უგან. თავ. მ. ა. გრუზინსკი, ქ. ი. მამაცაშვილი, ი. ე. ზუბალაშვილი, თავ. გ. ს. ციციშვილი, ვ. რ. ყიფიანი, აბას-ყული-ბეგ ადლაროვი, თავ. ნ. ა. თუმანიშვილი, ი. ზ. ლორის-მელიქოვი, თავ. ი. გ. ამილახვარი, ი. გ. თულაშვილი, თავ. გ. ი. თარხნიშვილი, პ. რ. ყიფიანი, ვ. დ. თულაშვილი, თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილი, ი. ს. ისარლიშვილი, თავ. ლ. გ. ჯანდიერი, მ. ვ. თოფურია, ა. ბ. ბუქყიაშვილი, გ. ბ. საყვარელიძე, პ. ნ. სტროევი და თავ. ი. მ. სუმბათაშვილი; კანდიდატებად: კ. ნ. პეტროვი, ვ. მ. დიმიტრიევი, გ. ნ. სხირტლაძე, მეშადი-ჰაჯი-სულეიმან-დადაშ-ოღლი და მეშადი-ჯაფარ-კული-ბაბა-ოღლი. ხოლო გუშინ, 29 მარტს, რწმუნებულნი აარჩიეს მეორე ხარისხის მესხებელთ. არჩეულ იქმნენ: ყარაევი გრ. იაკ., კუსიკოვი ნიკ. სერგ.-ძე, საკოვი მიხ. იაკ.-ძე, მელქუმოვი ვალ. გაბ.-ძე. წინამძღვრიშვილი ილია ივ.-ძე, პსაროვი ივ. იაკ.-ძე. სოფიევი აბას ყული, ფურცელაძე ანტ. ნიკ. ძე, ციციშვილი გრ. გაბ. ძე, ხუდადოვი ნ. ა., მამაცაშვილი კონ. ი., ყავრიშვილი კონ. ი., ათაბეგოვი ნერს. ასლ., თ. ჯორჯაძე ივ. გიორ., ბარათაშვილი დავ. ზაქ., მაჭავარიანი რ. დ., დოლინსკი გ. კ., გაბაშვილი ალ. ზაქ., ჯავრიშვილი სოლ. ევსტ; ამირაღოვი ფრ. ივ., მაყაშვილი ვლ. გაბრ., მაკარსკი ფ. ი., მესტიაშვილი ს., კიკნაძე ვ. ი., პროზოროვსკი, ფარესოვი დ. ბ., თ. ციციშვილი ნ. ს., თ. შალიკაშვილი ი. ი., მჭედლიშვილი პ. ლ., მთვარელიშვილი ნ. ვ., გაბაშვილი ვ. ი., ისარლოვი პ. ე., თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილი, ხერხეულიძე კ. კ. და ვეზირიშვილი მ. ნ.

კანდიდატებად: მელიქიშვილი ი. გ., ზანდუკელი ს. ზ., იედიგაროვი, ლიონიძე ს. ი. და ბეთანიშვილი.

*** კვირას, 28 მარტს, წლიური კრება ჰქონდა მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ურთ-ერთ დამხმარებელ საზოგადოების წევრთ. გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: ო. ვ. კაიდანოვისა და ე. თ. ვერეტენიკოვისა, მათ კანდიდატებად: ნ. ა. ვესელოვზოროვისა და ნ. ნ. ზურაბიშვილისა. მდივნად არჩეულ იქმნა ო. ნ. სვიდერსკაია, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებად: ქ-ნნი დ. ა. დაფქვიაშვილისა, ე. ა. ციტოვიჩი, ე. ე. ვორობიოვისა და ბ-ნნი კუზმინი და ი. ა. ლიადვინსკი.

*** კვირას, 28 მარტს, მოხდა ტფილისის კრედიტის საზოგადოების წევრთა წლიური კრება. ამ კრებაზედ არჩეულ იქმნენ საბჭოს წევრებად გ. გ. ადელხანოვი და ა. თ. ფრიდონოვი. საზოგადოების საქმეების გამგედ არჩეულ იქმნა ა. ა. იონისიანი, დირექტორებად: ი. ე. პსაროვი და თავ. გ. მ. თუმანოვი; სარევიზიო კომისიის წევრებად: ი. ი. ტერ-მიქელოვი, ნ. ზ. ნაზაროვი და ი. ა. ტერ-აკოფოვი.

*** „კავ“-ს სიტყვით, ტფილისის გუბერნატორად ნამყოფი ბ-ნი ბიკოვი ამ დღეებში ტფილისს ჩამოვა.

*** 27 მარტს, საღამოს 9 საათზედ, ტფილისში უეცრად გარდაიცვალა ქალაქის მე-8 ნაწილის პოლიციის ბოქაული ი. ი. სამუსი.

*** როგორც გაზ. „კავ.“-ი იუწყება, მთავარ-მართებლის საბჭოს წევრად ნამყოფს კ. ვ. იაკიმოვს შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭოს წევრად ჰნიშნავენო.

*** როგორც გაზ. „კავ.“-სა სწერენ, გორის მაზრის საქაშეთის სოფლის საზოგადოებას დაუდგენია განაჩენი დააარსოს საქაშეთში წერა-კითხვის სკოლა. საზოგადოებას განზრახულ სკოლის მზრუნველად ამოურჩევია თავ. გ. ნ. დიასამიძე.

*** როგორც გაზ. „კავ.-“ი იუწყება, ტფილისში აზრადა აქვთ დააარსონ საგლეხო ბანკის განყოფილება. ამ აზრით პეტერბურგში მიდის სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის ტფილისის განყოფილების გამგე ბ-ნი პ. ა. ვოლკოვი.

*** გუშინ ქალაქის გამგეობამ გადასცა საბჭოს მოხსენება პურის ნიხრის დაკლების შესახებ.

*** ქალაქ ტფილისის საბჭოს ხმოსან-ტეხნიკოსთაგან შემდგარმა კომისიამ მოიწონა პროექტი ქალაქის გამგეობის სადგომის გაფართოვების შესახებ. ამ საქმეს დასჭირდება სულ 4,150 მან.

*** როგორც გაზ. „ტფ. ფურ.“-ი იუწყება, გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ კავკასიაში შეცვლილ იქმნას აწ არსებული საგზაო გარდასახადი.

*** საქმე ორჯონიკიძეებისა, რომელთაც ფოსტა ტელეგრაფის კანტორიდგან 50,000 მანეთის მოპარვა ჰბრალდებათ, განხილული იქმნება 11 მაისს.

*** 28 მარტს პურისა და ხორცის გამნიხვრელმა კომისიამ დაადგინა დაუკლოს პურის ნიხრს, ყველა ხარისხისას $^1/_2$ კაპ.

*** კვირას, 28 მარტს, რიყეზე, ეტლი გადაბრუნდა და ორი შიგ მჯდომი მანდილოსანი ქუჩაში გადაცვივდა. მანდილოსანნი ოდნავ დაშავდნენ.

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ კავკავის სკოლის სასარგებლოდ 27 ქრისტეშობისთვეს 1898 წ. გამართულის საღამოდგან საქველ-მოქმედო ბაზრით-ურთ შემოვიდა:

1) ბილეთების გაყიდვით 307 მ., 2) ბაზრისაგან 124 მ. 90 კ., 3) ზედმეტი ბილეთებისა და ნივთების გაყიდვის დროს 116 მ. 84 კ., 4) ბაზრის გასამართავად ფულად შემოსწირეს 79 მ. 50 კ., 5) ბუფეტიდგან 300 მ. 18 კ., სულ 928 მ. 42 კ.

დაიხარჯა: 1) მარკები ბილეთებისათვის 14 მ. 35 კ., 2) ბილეთებსა და აფიშებზედ 8 მ. 38 კ., 3) ბაზრისათვის ნივთები 9 მ. 85 კ., 4) სამთელი 7 მ., 5) ბუფეტისათვის სანოვაგე და სავაჭრო მოწმობა 53 მ. 60 კ., 6) მუსიკა და საზანდარი 41 მ., 7) ნივთების გადატან-გადმოტანა 5 მ. 45 კ., 8) დურგალს, მეშუშეს და სხვა მუშებს სხვა-და-სხვა სამუშაოსათვის 17 მ. 50 კ., 9) დაკარგულის ნივთების ფასად პატრონებს 11 მ. 50 კ., 10) სხვა-და-სხვა წვრილმანი ხარჯი და ორს პოლიციელს 13 მ. 12 კაპ., სულ 181 მ. 75 კ.

სკოლის სასარგებლოდ დარჩა შვიდას ორმოცი-და-ექვსი მან. და სამოცი-და-შვიდი კაპ. (746 მ. 67 კ.).

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა თავის მოვალეობადა სთვლის გამოუცხადოს უღულითადესი მადლობა ალექსანდრე პეტრეს ძეს სარაჯიშვილს, რომელმაც იკისრა დიდი შრომა საღამოს გამართვისათვის, ქ-ნ სოფიო იოს. ასულს სარაჯიშვილს, ალექსი ილიას ძის როგოვსკის მთელს ოჯახობას, კნეინა ელ. ივ. ხიმშიაშვილისას, ქ-ნთ ელ. დ. და ეკ. კირ. მოზდოკელიშვილებს, თამარა იოს. ასულს გაბაშვილს, დარია ილ. ბაქრაძეს, იოსებ მოზდოკელიშვილს და სხვათა, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა საღამოს გამართვის საქმეში.

### წერილი ხოჯიდგან
(ზუგდიდის მაზრა).

არა ერთხელ თქმულა და დაწერილა, რომ ქვემო ბიიდგან დაბა

---

თო, როგორც მთის ქედიო“. რა თქმა უნდა, არწრუნის ლიბერალური დასი ამისთანა წუნს არ აკადრებდა თავისიანებს და არც კუტულის მოაფენინებდა მთელს ქვეყანაში. და რომ ეს უწყინარი და უტკივარი წუნიც-კი არ შეამჩნევინონ უცხო კაცს, დაბალი ღობეც მალე უპოვნიათ. ჭკვიანურად, გულმართლად აუხსნიათ, რომ ეგ დიდ ცხვირიანები სულ ქართველები არიანო. ესეც კარგია!.. რაც მეტი აქვთ, ის მაინც ჩვენთვის არა ჰშურთ, გულ-უხვად გვთავაზობენ. მეტი ტრფიალება-და გინდათ, ჩვენის სიყვარულით ცხვირებსაც-კი იჭრიან.

რა უნდა ექმნა ამისთანა მახეში გაბმულს ქარაფშუტა ფრანგსა? პარლამენტია და სომხებისაა, სკოლებია და სომხებისაა, ეკკლესიებია და სომხებისაა, ინტელიგენციაა და სომხებისაა, შექცევაა, ლხინია და სომხებისაა, დღეობაა და სომხებისაა, დელინგერებია და გიაცინტები და სომხებისაა, ფილოსოფოსებია და სომხებისაა, საჭმელებია და სომხებისაა და მერე სად? ტფილისში. აშკარაა, აქ სომხეთია და ტფილისი სომხეთის ქალაქი. სხვა რა უნდა გამოეყვანა ასეთის ოსტატობით თვალ ახვეულს გუშინდელ მოსულს კაცსა! აკი სომეხთა სტუმართმოყვარეობით აღტაცებული კუტული საქვეყნოდ იძახის, როცა ჯერ ტფილისში ზის და აქედამ ფეხი გარედ არ გაუდგამს: „უთუოდ ედემი აქ, სომხეთში ყოფილაო“. ამ სახით საქართველო ტფილისითურთ სომხეთად მოაჩვენეს ევროპიელ კორრესპონდენტს და ეს ამბავი ქვეყანაში მოაფენინეს უცხო კაცს იმისთანა დარბაისელ და გავლენიან გაზეთის პირით, როგორიც „Temps“-იაო. ინი არ არის, მაშ რა არის?

ერთი ეს ვიკითხოთ: რა აზრია ამისთანა სასაცილო ცუღლუტობასა და თაღლითობაში? ამისი პასუხი შეიძლება გამოიჩხრიკოს ერთის გარემოებისაგან, რომელსაც თვითონ კუტული გვანიშნებს. იგი თურმე ეშურებოდა „დაესწროს ყარსის აღებას“, მაგრამ რადგანაც თვითონ კუტულს და მისს ახალ მეგობრებს ჰსურვებიათ დიდ აღმოსავლეთის საქმესთან ფეხზე წამოაყენონ სომხების საქმეც, იგი ტფილისში ყოვნდება, რომ აქაური ხალხების ვითარება შეიტყოს. შეატყობინეს კიდეც: ტფილისი და საქართველო ჩვენი ბინააო, ჩვენი ქვეყანააო და რადგანაც მართლა ესეა, ვიღა გვეტყვის, რომ სომხები დაქსაქსულნი არიან და ბინის მოსაკიდებელი ადგილი არა აქვთო. აბა ერთი გაუსისწვრივით აქედამ თვალი სენკოვსკის მიერ თქმულსა, თუ ის არ დაინახოთ, რასაც ვეძებდით, თუმცა აქედამ იქამდე დიდი მანძილია და თუმცა აქ ახალნი არიან და იქ ძველნი. ვინ იცის? ადვილად საფიქრებელია, რომ დელინგერები და ფილოსოფოსები სენკოვსკის დროსაც იყვნენ. ყოველი მზგავსი, მზგავსსა ჰშობს, ნათქვამია. მამა რომ შვილსა გვანდეს ან შვილი მამას—აქ დაუჯერებელი არა არის-რა. ახლა გამოვიკვლიოთ რა შთააგონეს კუტულს აქაურ ხალხების ვინაობისა და ავკარგიანობისა. ჩვენ ვამბობთ შთააგონეს, იმიტომ-რომ კუტული ისე ცოტა ხანს იყო ტფილისში, რომ ერთის ქუჩის სახელსაც ვერ დაისწავლიდა და აქაურ ხალხების ვინაობას და ვითარებას საიდამ გამოარკვევდა, თუნდ არწრუნისავით „ძალიან განვითარებული“ ფილოსოფოსიც ყოფილიყო. რომ ყოველივე მის მიერ გაზეთს „Temps“-ში მოთხრობილი ჩაძახილია მისს ახალ მეგობართაგან, ამას თვითონ ტენდენცია მოთხრობილისა გვიმტკიცებს, თუ კაცი ჩაუკვირდება.

კუტულის სიტყვით, ამიერ-კავკასიაში ოთხის თესლის ერია: სომხები, ქართველები, თათრები და რუსები. გგონიათ, ვითომც ამ ოთხს სხვა-და-სხვა გვარს ერზე გეტყვით რასმე კუტული? თქვენც არ მომიკვდეთ. ნიშანში ამოუღებინებიათ მარტო ქართველები, რადგანაც, კვლავ ვიტყვით, ალიას დარდი ფლავია. მარტო ქართველებისა და სომხების დაპირდაპირებაა იგი კოჭი, რომელიც განგებ მუდამ ალჩუდ მოჰყავთ. ხომ წარმოაყრანტალებინეს, რომ ტფილისი სომხეთია, ხოლო მარტო ტფილისი რას ეყოფათ. საქმე იმაშია, რომ წამოაროშვინონ ვითომც მთელი ამიერ-კავკასიაც იმათია და წადილიც, როგორც ჰნახავთ, აისრულეს კიდეც.

კუტული აუწყებს-რა ევროპას, რომ კავკასიაში ოთხის თესლის ერია, შემდეგ ამბობს,—თუმცა სომხების რიცხვი ეხლა ქართველებზე ნაკლებია, – სულ 600 ათასიო (?), მაგრამ ამ საუკუნის დასასრულამდე სომხები მალე გამრავლდებიან და ქართველებზე მეტნი შეიქმნებიანო. სხვები? თათრებსა და რუსებზე არას ამბობს, თითქო ესენი სახსენებელნიც არ არიან, თითქო ესენი-კი სათვალავში მისაღებნი არ არიან. განა აშკარა არ არის, რომ მარტო ქართველების ნამეტანობა ამიერ-კავკასიაში თვალში ეკლად გასჩრიათ და მარტო ამ ეკლის გამოღებას ჰლამიან ეს „ძალიან განვითარებულნი ფილოსოფოსები“, ეს სომხების არამკითხე დელინგერები და გიაცინტები!.. სხვას ვის მოუვა ფიქრად ეს საცუღლუტო ანგარიში სომხების მაღლა ასაწევად და ქართველების დაბლა დასაწევად იქ, საცა ამათ გარდა თათრები და რუსებიც არიან.

დავანებოთ ამასაც თავი და ერთი ეს ვიკითხოთ: ეს რა უცნაური უნარია სომხების გაშენებისა და ქართველების გადაშენებისა, რომლის ძალითაც 23 წელიწადის განმავალობაში ცოტა სომეხი გაბევრდება და ბევრი ქართველი დაცოტავდება. ან ვისთვის რა საჭიროა ამისთანა სასაცილო თანხები გადმოუკეცოს ევროპას და გაიჭაჭოს, რომ, დაიცადეთ, დღეს სომხები ცოტანი არიან და ოცდა სამს წელიწადში იბღარტებენ და არწივის ნაბუდარზე თავისს ბღარტებს გაზდიან და გამრავლდებიანო. ეს სომხების ბღარტობა და გაშენება და ქართველების დანელება და გადაშენება ვისთვის რა საჭიროა? განა აშკარა არ არის—ვისი ეშმაკობა უნდა იყოს, ვისი თვალთ-მაქცობა, რომ უცხო კაცი ასე გააბრიყვოს და ამისთანა რამ ქვეყნის სასაცილოდ წამოაროშვინოს: დაიცადეთ, სომხები გაშენდებიან და ქართველები გადაშენდებიანო. აი ამას ჰქვიან: „თვისისა ნების შედგომა, წადილი“.

რაკი ჯობინობის მოედანზე გაიყვანეს კუტული, რასაკვირველია, მისმა ახალმა მეგობრებმა სხვა ლაზათებიც ჩასძახეს ევროპაში დასაძახებლად. კუტული ჩაძახილს ასე ამოიძახის,—სომხები შეადგენენ Tiers états, (მესამე წოდებას) კავკასიაშიო. ამათს ხელშიაო ვაჭრობა, ყველაფრის ხელობა, წარმოება. ესენი არიან ექიმები, ადვოკატები, თავისუფალ ხელობის და საქმის კაცებიო. იმათა აქვთ სკოლები, ჟურნალ-გაზეთები, პატარა ტფილისის პარლამენტი და სხვ. ამ უკანასკნელ დროს იმათგანი სამხედრო სამსახურშიც ბევრნი შედიანო. მადათოვი, ბებუთოვი, არღუთინსკი, ლორის-მელიქოვი, ლაზარევი, ალხაზოვი, ტერ-ღუქასოვი,—ეს ღენერლები სულ სომეხთა ტომმა მისცა რუსის მხედრობასაო. წარჩინებული

ხობამდე გზა იმდენად გაფუჭებულია, რომ დიდი სიფრთხილე უნდა კაცს, უხიფათოდ გადარჩესო. ეს სრული ჭეშმარიტებაა და საკვირველია ხობის (იგივე რედუტკალე) ბოქაულის საქმე: ნუ თუ ბ-ნ ჟღენტს და მის თანაშემწეს ბ-ნს სოლ. შენგელაიას ამ გზაზედ არ გაუვლიათ და ის დღე არ დასდგომიათ, რაც ჩვენ გვადგია იმის უვარგისობისა გამო! წარსულ შემოდგომაზედ განსვენებულმა ბოქაულმა მინა ავალიანმა მიაქცია ყურადღება ამ გზის უვარგისობას და კეთებაც დააწყებინა ხალხს ხობიდგან. იმას აზრად ჰქონდა ამ გზას გაევლო ქვემო ბიის ახალ ეკკლესიასთან და წალენჯიხში შესულიყო. ეს რომ ასე მომხდარიყო, ანუ ეხლაც რო მოხდეს, გზა გაივლის თითქმის შუაგულ სამეგრელოში და დიდი საჭიროა სენაკისა და ზუგდიდის მაზრების მცხოვრებლებისათვის. ოც სოფელზედ მეტი ვაი-ვაგლახით ამ გზით ეზიდებიან ხობსა და ახალსენაკში ყოველ გვარ ჭირნახულს და ხეტყეს. მარტო ერთ მოიჯარადრეს ბ-ნ ბახტაძეს ამ გზით 60 ათასი ურემი რკინის გზის სალიანდაგო ხე აქვს გატანილი დადიანების მამულიდგან. ეს გზა კარგად რომ შეაკეთოს კაცმა, ჭირნახულს ფასი ერთი ორად მოემატება და ომნიბუსებიც სიარულს დაიწყებენ. მაგრამ გზა ხობის მონასტერს არ გაშორებია ჯერ. უწყალო სიკვდილმა მოგვაშორა ბოქაული მინა ავალიანი და მისი დაწყებული საქმეები, როგორც გზის გაკეთება, აგრეთვე მრავალი სხვაც, „სალათას ძილს“ მიეცა. ბ-ნ ავალიანის დროს შესამჩნევად შემცირდა ქურდობა. 10 საზოგადოებაში ერთ წელიწადს და ორ თვეს, როგორც ზუგდიდის მაზრის უფროსმა ბატონმა კეგამოვმა გამოაცხადა, სამის ქურდობის მეტი არ მომხდარა, და მაშინაც-კი აღმოაჩინა ბოქაულმა დამნაშავენი. იმავე მაზრის უფროსმა ნოჯიხევის სოფლის სასამართლოში სთქვა, რომ ავალიანის სიკვდილის შემდეგ, 3 თვეში, რედუტკალის საბოქაულოში 14 ქურდობა ჩოუდენიათო.

ბ ნი ავალიანი სცდილობდა. რომ ჩვენს მთავრობას საცდელი მინდორი („პიტომნიკი“) დაეარსებინა და ამით სასოფლო მეურნეობისათვის ხელი შეეწყო. როგორც ვიცით, სამეგრელოში სიმინდის თესვას მისდევენ მომეტებულ ნაწილად, მაგრამ საქმე არ გვაძლევს ხეირს; სიმინდის ფასი სოფლად 30—35 კაპეიკს არ აღემატება და ეს ხომ შრომის ფასსაც არ შეადგენს. ამის გამო ხალხის კეთილ-დღეობა უკან-უკან მიდის, რითაც აიხსნება ის გარემოება, რომ ნოჯიხევის საზოგადოებაზედ 23 ათასი მანეთი ითვლება შეუტანელი სახელმწიფო გარდასახადი.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია მოვიხსენოთ ის გარემოება, რომ ამ ფულებიდგან ოთხი ათასი მანეთის გაფლანგვა 6 კაცს ჰბრალდება, რომელნიც მამასახლისებად იყვნენ ნოჯიხევში. ეს საქმე გამომძიებლის ხელშია. ეხლა ხალხი გაიძახის: რაც გარდავიხადეთ, ისიც შეუჭამიათ და აგერ ერთ წელიწად ნახევარია, რაც მთავრობამ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, მაგრამ ფულის ყლაპიები აქვე დადიანო.

სოლომონ იოსავა

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**დ. ჭიათურა**, (შორაპნის მაზრა). ამას წინად ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსისაგან შემდეგის შინაარსის მოწერილობა მიიღო აქაურმა ბოქაულმა: „ჩვენამდის მოაღწია, რომ ჭიათურაში მცხოვრებლებს ზედ ემატება ახლო-მახლო სოფლელი ხალხიც და კვირა-უქმე დღეებში უსაქმურად ატარებენ დროს ლოთობასა, ჩხუბსა, ბურთაობაში და სხვ... ამისათვის მოახდინეთ განკარგულებაო“ და სხ. ბ-ნმა ბოქაულმა კიდეც იხმარა ღონისძიება, მაგრამ არ იქნა და არა, ერთხელვე დაჩვეულ გზას ვერ ასცდა ხალხი და არავითარი საშუალება იმათ წინააღმდეგ ჯერ არ გამოდგა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, კაი ხანია მას შემდეგ, რაც აქ ლაპარაკია აღძრული ეკკლესიის აგების შესახებ, რაც ძლიერ საჭიროა, მაგრამ, რადგანაც მოთავე არავინ აღმოჩნდა, მისი განხორციელებაც ძნელი შეიქმნა. წიგნთ-საცავმაც კაი ხანია, რაც მიიძინა, და სასურველია აქაური ახალგაზდები როგორმე შეუდგებოდნენ მის გამოღვიძებას. ეს წიგნთ-საცავი სიღარიბის გამო დამინებულია და მისი გაღვიძება ძლიერ ადვილი საქმეა, თუ რასმეს გავიმეტებთ. ეს რამდენიმე თვეა, რაც აქ საკვირაო სკოლა არსებობს და მასწავლებლებსაც გულმოდგინედ მოუკიდნიათ ამ საქმისთვის ხელი. მაგრამ ხალხი ჯერ-ჯერობით დიდს თანაგრძნობას ვერ იჩენს ამ საქმისადმი, რადგან იქიდგან სჩანს, რომ ცოტანი დადიან სკოლაში, და ისიც სულ სხვა-და-სხვა, რაიც ძლიერ ხელს უშლის მასწავლებლებს.

ბაზარში დიდი გზის შეკეთებას, რის შესახებ უწინაც გწერდით, უკვე შეუდგნენ, ხოლო ბაზრობის მოშლა წინანდელ ადაგას არ მოხერხდა.

წიფერჩელი

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** ლიბერალურ დასის წევრებმა ერთი დიდი ნაკლულევანება იპოვნეს ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულობაში აფრიკის შესახებ. იმ ხელშეკრულებაში ერთი სიტყვითაც არ ყოფილა მოხსენებული ეგვიპტეზედ, ასე რომ საფრანგეთს ყოველთვის შეუძლიან იმის შესახებ დავა აუტეხოს ინგლისს და ამით კონვენციის არც შინაარსი იქმნება დარღვეული და არც ფორმა. ლიბერალების სიტყვით, ხსენებულ კონვენციისათვის მაშინ ეთქმოდა მადლობა ლორდ სალისბერს, საფრანგეთი რომ დაეყოლიებინა და სრულიად უარი განეცხადებინებინა ეგვიპტეზედ. ამისათვის, როგორც ისინი ამბობენ, მოხერხებული დროც ჰქონდა ეხლა ინგლისის მთავრობას, რადგან ნიუფაუნდლენდისა და მადაგასკარის საქმეები ძალას დაატანდა საფრანგეთს ინგლისის წინადადებას დაჰყაბულებოდა.

—

**ჰოლანდია.** სახელმწიფოების ერთმანეთთან მიწერ-მოწერის შემდეგ გააგის სამშვიდობო კონფერენციის შესახებ გამოირკვა, რომ სახელმწიფოები ორს გზას დასდგომიან ამ საქმეში. პირველი გზა ის არის, რომ მშვიდობიანობის დროს შემცირებულ იყოს ჯარი, ასე რომ ევროპის დიდ სახელმწიფოებს თანაბარი რიცხვი ჰყავდეს მხედრობისა. მეორე წინადადება იმაში მდგომარეობს, რომ ერთა შორის აღძრული უსიამოვნება სამედიატორო სამართლით გარდასწყდეს და ამ გარდაწყვეტილებას მოდავე მხარენი უთუოდ უნდა დამორჩილდნენ. ასეთი წინადადების მოთავენი არიან ინგლისი და შეერთებული შტატები, რომელთაც მხარს უჭერენ იაპონია, სიამი და ეგვიპტე.

—

**ოსმალეთი.** გაზეთებმა ყურადღება მიაქციეს ერთ გარემოებას რომელიც შეეხება ოსმალეთის მხედრობის შეიარაღებას. საქმე ის არის, რომ ოსმალეთის მხედრობის მომეტებული ნაწილი შეიარაღებულია მაუზერის თოფებით, და დღემდის ასეთს თოფებს გერმანიის სავაჭრო სახლები აწოდებდნენ ოსმალეთს. ეხლა პორტას პირობა შეუკრავს ავსტრიის ერთს ფირმასთან, რომელმაც მასალა უნდა მიაწოდოს მას თოფხანის ქარხნებში მაუზერის თოფების დასამზადებლად.

—

**ბოლგარია.** სერბიის გაზეთების სიტყვით, ბოლგარიის წარმომადგენელი ბელგრადში გეორგიევი გადაყენებულია ამ თანამდებობიდგან და მის ადგილას დანიშნულია ბრაკალოვი, რომელსაც თავად-საჩინო ადგილი უჭირავს გარეშე საქმეთა სამინისტროში. გეორგიევის გადაყენებას და ბრაკალოვის დანიშნვას კავშირი აქვს 22 თებერვალს მოხდარ შემთხვევასთან, როცა სერბიის სასახლეში სხვა სახელმწიფოების ელჩებთან ერთად ბოლგარიის წარმომადგენელიც იყო და ამიტომ ოსმალეთის ელჩმა იწყინა ეს და სასახლე დასტოვა.

## დამაკვირდი

სამე უოკელი კაცისა არის, არა თუ კაცი უოკლის საქმისა!

სულხან საბა

***

რაცა ღმერთსა გაუგია,
უოკლსა კაცსა გარდახვდების.

როსტომიანი

***

თხელი და ტრელი კაცი პორფირმა უდრესად განატრელ-განათხელა.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდან

(ამოკრებილი ამბები)

ამ ბოლოს დროს განათლებულს სახელმწიფოებში დიდს ყურადღებას აქცევენ ღარიბ და უპატრონო მოხუცებულთა მდგომარეობას. აარსებენ „მოხუცებულთა სახლებს“, თავ-შესაფარებს, უნიშნავენ ასეთ მოხუცებულებს პენსიას და სხვა. მოხუცე-

---

ღენერალი ლაზარევი ძლიერ შესანიშნავი სარდალიაო, მაგრამ ქართველ თავადების შურით იგი გადაყენებულია და ეხლა ბაქოში სცხოვრობს უსამსახუროდაო [2]). მერე კუტული ჩამოთვლით ასახელებს ყველა სომხებს, ვინც-კი გამოჩენილად უჩვენებიათ მეცნიერებასა და ხელოვნებაში, თუ სხვა რაიმე ასპარეზზე მისს ახალ მეგობრებს.

თუმცა ეს გამოჩენილნი სომეხნი მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში გოლიათებად არავის მიუჩნევია, მაგრამ ჩვენ რა დავა გვაქვს. წინადაცა ვთქვით: სომხის კარგი თუნდაც გადაჭარბებული, ღმერთმა სომეხსავე მოახმაროს საქებ-სადიდებლად. ხოლო ყოველ ამითი აღფრთოვანებული კუტული ასე წინასწარმეტყველობს: „მომავალი კავკასიაში სომხებს ეკუთვნით და მისს მეზობლებს —ქართველებს და თათრებს— სხვა არა დარჩენიათ-რა, რომ უნდა გასომხდნენო. აი სად არის დასასრული დასაწყისისა. კაი ნუგეშია, თუ თქვენც იტყვით. განა ჭკუა არ არის, იმისთანა გავლენიანი გაზეთი, როგორიც „Temps“-ია, კაცმა ასე აყვიროს!... ერთი გვიბრძანეთ,—ვინ გაასულელებდა საცოდავს კუტულს ამის თქმად, თუ არ სომეხთა ძალიან განვითარებულნი ფილოსოფოსნი, დელლინგერები, და გიაცინტები.,,ხე ხილისაგანხილი ხისგან, ნათქვამია, იცნობებაო“.

„ჩვენს ხალხს პოეზია არ უყვარს“ უქადაგნია კუტულისათვის არწრუნს და მისს ამქარს, რომელსაც კუტული სკოლას ეძახის არწრუნისას: „ჩვენ უფრო მსჯელობა და კრიტიკა გვიყვარსო“. არ ვიცით რამოდენად თავ-მოსაწონებელია ეს არა-სიყვარული პოეზიისა. დიდმა გიოტემ (Гёте) კი სთქვა: „ვისაც პოეტის ხმა არ აუძგერებს გულს, იგი ბარბაროსიაო“. თუმცა არწრუნს და მისს სკოლას პოეზია არა ჰყვარებია, მაგრამ ფანტაზია-კი დიდი ჰქონია. ამ ძალიან განვითარებულ ფილოსოფოსის აზრით, სომხები მომავალში შეადგენენ სახელმწიფოს, რომელსაც 30 მილიონი ქვეშევრდომი ეყოლებაო, ამბობს კუტული [3]). არა გვგონია ყოველი გონიერი სომეხი არ მოერიდოს ამისთანა თავ-დაუჭირავს ბოდვას განვითარებულ ფილოსოფოსისას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ არც ერთი ჭკვათამყოფელი სომეხი ამას არც იტყვის და არც გულში გაიტარებს. ეს მოშლილ წისქვილის რახა-რუხია და სომხებ შორის ამისთანანი ან სულ არ არიან, ან თუ არიან, სახსენებლადაც არა ჰღირან. ასე ქვეყნის სასაცილოდ პირის დაღება ნაცარ-ქექიის საქმეა: წყლიან ყველს უჭერს ხელს და ქვეყანას კი ეფიცება, ქვას ვადენ წყალსაო. ყოველივე ეს ერთის კაცის დამთხვეული ბოდვაა და იმ ერთს კაცსვე შეენდოს.

ვთქვათ, კუტულის წინასწარმეტყველებისამებრ, ქართველები და თათრები გასომხდნენ და ეყმნენ სომხებსა,—ეს ხომ წვეთია 30 მილიონის შესადგენად და საიდამ დაუპირებია არწრუნს ამოდენა საყმოს მოგროვება? ამისი პასუხი უსათუოდ თან გაიყოლა განსვენებულმა ფილოსოფოსმა. აკი ვამბობთ, ჩვენ ეს სასაცილო ამბავი იმიტომ-კი არ მოგვყავს, ვითომც გვჯეროდეს, რომ ჭკუა დამჯდარს სომეხს ეს ფიქრად ოდესმე მოსვლოდეს, ან აწ მოუვიდეს, არამედ იმიტომ რომ, იმ ერთს გუნდს სომხებისას, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ჩვეულებადა აქვს ამისთანა საყვირი აყვიროს. თვითონ კუტული ამტკიცებს ამას. იგი გვეუბნება, რასაკვირველია, სომეხთა ფილოსოფოსების ჩაძახებით, რომ არწრუნს და მისს ლიბერალურ სკოლას დევიზად მიუღია ჟირარდენის დევიზი: „უნდა იყვიროო“. სამართალი ითხოვს ვთქვათ, რომ მართლა „ჰყვირიან“ და კარგადაც ჰყვირიან. მეტი ყვირილი-ღა გნებავთ, როცა მათი ბამბაცა ჩხრიალებს და სხვისა არც კაკალი.

საყვირს ხომ აყვირებენ და აყვირებენ, ხოლო ზოგჯერ იმისთანა უშველებელს დააძახებინებენ ხოლმე, რომ, თუ სადმე სამართალია, თვითონვე უნდა დაიცონ ყურებში თითი,—ეს რა გვესმისო. უსათუოდ იმისათვის, რომ კუტული დააჯერონ—სომხობა რა ჭკუიანი ხალხია, რა ასლად და ზედ-გამოჭრილად ჩამოსხმულია დღევანდელის დღის ყალიბზე, რამდენიმე სომხური ანდაზა დაუსწავლებიათ და, სხვათა შორის, ეს ორი: „რად ჰკითხულობ ვისი გამომცხვარია ეს პური? გინდ ურიისა იყოს, თუ გემრიელია, სჭამეო“. ანუ: „სადაც ჰნახო პური, იქ დაბინავდიო“. მართალია ამისთანა ანგარიშიანს სიბრძნეს დღეს დიდი ბაზარი აქვს, მართალია, დღეს ბურთი იმას გააქვს მოედნიდამ, ვინც ამ მოძღვრებას მისდევს, მაგრამ თავ-მოსაწონებელი და საქებარი-კი აქ არა ჰყრია-რა. პირიქით, რაცა ჰყრია, ძირიანად ამოსათხრელია და წყალში გადასაყრელი.

დიდი ხანია, სარწმუნოება ჩვენი გვასწავლის: „არა გული გითქმიდეს... მისთვის, რაიცა იყოს მოყვასისა შენისაო“. დიდი ხანია ქვეყნიერებაზედ ამ ანდაზების მხარ და მხარ ერთი სხვა მორცხვი, მაგრამ კაცთა საკადრისი და გამაპატიოსნებელი მოძღვრებაც დადის: „ნუ სძღები სხვისა რძითა, ნუ იმოსები სხვისა მატყლითაო“. სხვისა ნურა გინდა რა, შენი იკმარე,—ეს არის კაცთა ურთიერთობის ქვა-კუთხედი, ეს არის დედა-ბოძი ზნეობისა.

მართალია, ამ ანდაზებს რომ გვერდით მოვუყენოთ ქართველთა ანდაზა: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“, ან: „უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის დ გაედინების“ —პირველნი ეხლანდელს დროში ჭკვათა-მყოფლობას მოასწავებს, და მეორენი ბედოვლათობას, მაგრამ, ღმერთმა იცის,—კაცურ კაცობისათვის რა უფრო სანატრელია, სხვისი პურის ჭამა, თუ თავისისა გაცემა. ვინ იცის: ზნეობა უფრო მაგარი ქვითკირია კაცთა ცხოვრებისათვის, თუ საცა ვისი რამ მოახელო, სჭამე, რაკი გემრიელიაო.

ასეა, თუ ისე, ჩვენ რომ არწრუნის და მისის ლიბერალურ სკოლის ადგილას ვყოფილიყავით, ხსენებულ სომხურ ანდაზებს საქებ-სადიდებლად კი არ გავიხდიდით, სხვასაც დავუშლიდით: დაივიწყეთ ესეთი ანდაზები, საკადრისი არ არის, არამც თუ მაგეების ხმა-მაღლა ძახილი, არამედ გულში გატარებაც-კი. განა რას იზამ? კაცია და გუნებაო. აი, რა ყრილა თურმე იმ ლიბერალობაში, რომლის დროშა ხელთა სჭერიათ სომეხთა ძალიან განვითარებულ ფილოსოფოსებს, დელლინგერებს და გიაცინტებს: „სადაც პური ჰნახო, იქ დაბინავდიო“... მაშ მამული, სამშობლო, მამა-პაპათა მიწა-წყალი, მამა-პაპათა ბინა უქმი სიტყვები-ღა ყოფილა ადამიანისათვის! ჩვენ ამას მთელს სომხობას არ შევწამებთ, მხოლოდ მეტი არ იქნება მისთა მწიგნობარ-მეცნიერთა იცოდნენ, რომ „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“.

ილია ჭავჭავაძე

(შემდეგი იქნება)

[2]) განსვენებული ლაზარევი ჯერ მაშინ არა ყოფილა მიწვეული ყარსში სამსახურად.

[3]) იხ. „Temps“-ი 1877 წ. ივლისის 20.

ბულთათვის ზრუნავენ არა მარტო გულ-შემატკივარნი და ქველ-მოქმედნი, არამედ მთავრობანიც-კი. საფრანგეთის კანონი იმასაც-კი ამბობს, რომ „საფრანგეთის ყველა იმ ღარიბ და შეუძლებელ ქვეშევრდომს, რომელიც 70 წლისაზედ ნაკლები არ არის, და რომელსაც შრომით თავის გამოკვება აღარ შეუძლიან, ნება აქვს თავ-შესაფარში შევიდეს და სახელმწიფო ხარჯით ირჩინოს თავიო“. საუბედუროდ, მთავრობას ჯერ კიდევ იმდენი თავ-შესაფარი არა აქვს, რომ ყველა ასეთის მოხუცებულის მოთავსება შეიძლებოდეს. მთავრობის მიერ დაარსებულ თავშესაფრებში იღებენ ყველა ღარიბ მოხუცს, იმისდა განურჩევლად, რა საქმესა და სამსახურში იყო წინად. ღარიბ მოხუცებულთათვის ბევრსა ზრუნავს აგრეთვე ავსტრიის მთავრობაც. თავშესაფრებს გარდა იქ ზოგ მოხუცებულ მუშასა და ხელოსანს პენსიასაც-კი უნიშნავენ. პენსიას უნიშნავს მოხუცებულთა აგრეთვე დანიის მთავრობაც. ისლანდიაში კანონის ძალით ყველანი ვალდებულნი არიან სტუმართ-მოყვარეობა და შემწეობა გაუწიონ მოხუცებულთ, რასაკვირველია, შეძლებისა დაგვარად. ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ ისლანდიაში ეს მოვალეობა დაერღვიათ და მოხუცებულთ ცუდათ მოჰქცეოდნენ და შეუძლებელიც არის ასეთი მაგალითი, რადგანაც იმ კაცს მთელი თემი აღუდგება და გაჰკიცხავს.

* * *

ამერიკაში, ახალ მექსიკის შტატის ჩრდილოეთ ნაწილში სცხოვრობენ ერთ-გვარი მწვალებელნი, რომელთაც სახელად „მომნანებელნი ძმანი“ ეწოდებათ. ამ მწვალებელთა რიცხვი 600—700 კაცს არ აღემატება. მწვალებელთა უმთავრესს, თითქმის ერთად-ერთ სახსარს ცხოვრებისას, საქონლის მოშენება შეადგენს. ეს მწვალებელნი ისეთს მიყრუებულს და მივარდნილს ადგილას სცხოვრობენ, რომ დანარჩენს ქვეყანას თითქმის სრულებით მოწყვეტილი არიან. 600—700 კაცისაგან სულ ორმა-სამმა არ იცის წერა და კითხვა. უწინდელს დროში, როდესაც ჯერ კიდევ ჩრდილოეთ ამერიკაში რკინის გზები არ იყო გაყვანილი, ამ მწვალებელთა მოძღვრების მიმდევარნი ბევრნი იყვნენ, მაგრამ რკინიგზის გაყვანასთან ერთად განათლებამაც მიაღწია ამ ადგილებამდის და მწვალებელთა რიცხვმა შესამჩნევად იკლო. ამ მწვალებელთ არ უყვართ გარეშე კაცები და თავიან საიდუმლოებას არავის უმჟღავნებენ. სცხოვრობენ „მომნანებელნი ძმანი“ უბრალო, ღარიბ ქოხებში. იქვე აქვთ სამლოცველო, სადაც ყოველ დღე ღვთის სავედრებლად დაიარებიან. მეტად დიდ მნიშვნელოვან დღეებად ამ მწვალებელთათვის ითვლება დიდ მარხვის უკანასკნელ კვირის დღეები. ამ კვირას ერთ-ერთ გორაკზედ, რომელსაც სახელად გოლგოთას უწოდებენ, სდგამენ დიდს, ხისაგან გაკეთებულს, ჯვარს. ყოველ დღე მწვალებელნი ამ ჯვართან მიდიან და იქ ტირილსა და გლოვაში რამდენსამე საათს ატარებენ. მაგრამ უფრო საყურადღებოა უკანასკნელი დღე, როდესაც ჯვართ-ცმა მოხდება ხოლმე. ამ დღეს ჯვარზედ აკრავენ ერთ-ერთს მწვალებელს, რომელიც ჯვარზედ გაკვრის თანხმობას აცხადებს. ყველანი გორაკზედ იყრიან თავს. რამწამსაც გამოჩნდება ის, ვინც ჯვაზედ უნდა გააკრან, იმ წამს ყოველის მხრიდგან საზარელი წივილი, კივილი და ერთი ვაი-ვაგლახი გაისმის. თავზედ ამ კაცს ეკლების გვირგვინი ადგია. უწინდელს დროში ამ „მსხვერპლს“ ჯვარზედ ლურსმებით მიაკრავდნენ ხოლმე, მაგრამ ამ ბოლოს დროს ეს ჩვეულება გადავარდა და მხოლოდ თოკით მიაბამენ ხოლმე. ჯვარზედ „მსხვერპლი“ ერთი საათი რჩება, შემდეგ გონება წასულს ახსვენენ ტილოში და გამოქვაბულში აწვენენ, სადაც დღე ან დღე ნახევარი რჩება. ასეთი კაცები ჯვარ-ცმის შემდეგ დიდს სახელს იხვეჭენ თავიანთ მოძმეთა შორის.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: ჲდ)

(შემდეგი*)

არიან კაცნი სამ სახედ განყოფილ, ესე იგი კორც ორძილად, რომელნი კორცთასა ზრახუნნ რომელთა სულ არა აქუსთ. და კუალად არიან კაცნი მეორე ხარისხისანი მშვენიერ ჰაერსა მცემელნი მცირეს მაშინა ენითა რომელნი მრავლის მეტყუელებითა დიდთა კეთილთა მცირე კეთილითა დამკობილ ჰყოფენ. ხოლო უკანასკნელ მესამე ხარისხისა კაცნი სულიერნი რომელთა შიში და სიყუარული საღუთო აქუსთ. იგინი მცირე ბოროტითა დიდთა ბოროტთა განანქრევენ. და თვით მცირესა კეთილსაცა დიდ კეთილობად გარდაქმენ. ამისთვის ვკადნიერებ წინაშე ძმათა ჩემთა სამღვდელოთა. და სულიერ აზნაურთა ერისა რათა მსახურება ესე ჩემი შეწირულ იქმნეს ყოველთადმი. და შრომა ესე ოდენნი თუმცაღა მცირე. ლოცუად შეერაცხოს სულსა ჩემსა. და უკეთუ ენებოს ღმერთსა რათა მარცხენის გუერდისა სიმწარით ტკივილმან მიიღოს დაყდონება (?). და სხუანიცა წიგნნი რაჲმენი შევმზადო ვიდრე მშვენიერლა ვიყო რათა ორგზის მშობელსა ჩემსა ქუეყანას ვმსახურო. თუმცაღა კმა არიან ღუაწლნი სამღთო სულიერნი წმიდათა მამათა ჩუენანი რომელნი უცხოსა ქუეყანისა მონასტრებთა შინა დაშვრენ და ყუენ საღთო გარდამოთარგმნებნი მთასა ზედა ათონისასა და იეროსალიმისა ქალაქსა და თვითცა შესძინეს ქადაგებითი სწავებანი. და დაგვიტევეს სამოძღურებელად. ხოლო უკანასკნელ უწმინდესმან ანტონი პატრიახ კათალიკოზმან დასძინა მრავალნი სულიერნი სასწავებელნი წიგნნი. და თვთ საეროვნიცა. გარნა ვიდრე აქამომდე ყოველთა ჩუენისა ქუეყანისა შრომილნი ღუაწლნი დღე და ღამე რუდუნებულნი მჟღებარებენ კვიმარსა ქუეშე საზოგადოთა ერთაგან განუხილველად სამითა ოდენ ბოროტ მიზეზებითა. ესე იგი პირუელ შინაგან სამ სახედ განწუალებისა და დასუსტებისა და შემცირებისა ერისა რიცხვისა და უმეცრებისა და სიგლახაკისა ძლით რომელ ქუეყანასა ჩუენსა არა აქუნდა ქარტანი და ტეფოღრაფია. მეორედ კაცთა განსწავლილთა ადგილნი და პატივნი და მცირედნიცა ნუგეშნი. ხოლო მესამედ გარემოთა ბოროტ ბარბაროზთა უწიგნოთა მეზობლებთაგან განსუენება. ამისთვის დაშთა არხივა წიგნთ-საცავები ცალიერ. და სახლნი საწავებელნი უმოწაფო და ერნი უღრამატო. და ეკლესიანი უქადაგებელ და ღუაწლნი არხიერთა და არხიმანდრიტთა და პრესვიტერთა და დიაკონთა დაძინებულ, რომელ თვით ათსამმეტთა მამათაგანი მეოხნი სამარხონი რომელნიმე გზაუალად არიან და წმიდანი ჯუარნი და ხატნი კავკასიას ქუაბებთა შინა თვინიერ მმილავთა დაფარულ არიან. და უნებურნი სახარებისათვის მწყურუალენი ერნი. უღრამატო მოხუცებულთა მღუდელად სახელ-დებლებთაგან იმწყალობებიან რაოდენისამე წინა უკმო საღუთო წერილთა ლექსებთაგან გაზეპირებითა. ამისთვის მელმის შინაგან სულითა ესე ოდენისა საჭიროთა მოკლებისა მხედველსა, რომელ თვით ტფილის ს, მოსრულნი ერნი უცხონი რომელ არიან სომეხნი და ლათინნი ქუეყანას ჩუენსა არა თუ სამღუდელონი, არამედ თვით ერთაცა უწყიან თვისისა სარწმუნოებისა მოსარჩლეობა თვისთა წერილებთა ძლით. ხოლო ჩუენთა მრავალთაგან მცირედთა უწყიან დოღმატი საცხოვრებელი. თუმცა წარკითხვა მარჯუედ აქუთ კელოვნებული თვინიერ ძალთა ცნობისა. ამას ძლით ღამესა შინა თვინიერ სულისა მიმთრბის გონება ჩემი დაცემულისა ელენთა წიგნებთა საცავებს შინა და როსთა არხივაებთა შინაგან და თვით განსრულთა ლათინთა და სომეხთა განბნეულთა საღთოთა მამათა მათგან დაცულთა წიგნებთა შინარე. ხოლო ქუეყანა ჩუენი რა რაოდენცა განვიხილო კასპიისა ზღვიდგან ვიდრე პონტოიისა ზღუადმდე და კავკასიითგან მცირისა ანატოლიადმდე თვინიერ სხუათა ენათაგან გადმოთარგმნებულისა და მათცა მცირეთა, გარნა საკუთართა ღუაწლთა ვერარაჲსა ვპოებ და თუ იპოებიან ჩინებულთა სახლებთა შინა რაოდენნიმე წიგნი საკლასონი კელით წერილნი, იშიშვიან წარკითხუად, რათა არა მიეცეს ხრწნილებასა. ანუ არავინ ინათხოვროს და იქმნას დავიწყებულ. ამისთვის საჭირო არს ცრემლნი იერემია მგოდებელისა და ზრუნვა ეზრასი და ნეემიასა ჩუენისა არხივისათვის.

მ. ჯანაშვილი

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 62.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 მარტი

**კიევი.** გუშინ დაიწვა ილნეცკის ქარხანა შაქრისა კიევის გუბერნიის ლიპოვეცკის მაზრაში. ქარხანა ეკუთვნოდა დემიდოვისას კნეინა სანდონატოს. დაზღვეული იყო 400 ათას მანათად.

**პარიჟი.** „Figaro“-მ განაცხადა ჩვენება არტილერიის მაიორის გარტმანისა, რომელმაც სთქვა, რომ ზარბაზანი № 120 და გიდრავლიური ტორმოზი უკვე ცნობილი იყო გარეშე დიდ სახელმწიფოთა მიერ ჯერ ისევ 1894 წლის წინად. გარტმანმა გაიხსენა საქმე მოხელის ბუტონესი, რომელმაც 1890 წელს გაჰყიდა საბუთის ქაღალდები, რომლებიც ეკუთვნოდა სამხედრო სამინისტროს სატეხნიკო განყოფილებას. მოწმემ წაიკითხა სამინისტროს მიერ გამოცემული ამ საქმის შესახებ ინსტრუქციები, რომლებიდგანაც სჩანს, რომ საქმე შეეხება მხოლოდ ცდას იარაღისას და არა მასალას. არტილერიისა და ყველა სხვა ოფიცრებს შეეძლოთ ეშოვათ ცნობები და გეგმა ტორმოზისა. მოწმეს, რომელიც 8 წლიწადს მსახურობდა სატეხნიკო განყოფილებაში, არაოდეს არ უნახავს, რომ დრეიფუსი მისულიყოს საბუთის ქაღალდებისათვის. გარტმანმა სთქვა შემდეგ, რომ თოფისა და ზარბაზნის სროლის შესახებ სახელმძღვანელო მარტო ჯარში არ იყო ცნობილი. ესტერგაზიო,—სთქვა მან,—დაესწრო შალონში ძომხდარ საცდელ სროლასა. „ბორდეროს“ შემდგენელს მე არ ვიცნობო, სთქვა მოწმემ. რაც უნდა იყოს, არტილერიის საბუთის ქაღალდები დრეიფუსის მიერ არ არის გადაცემული. რობენის იარაღი არა ჰგავს გერმანელთა შრაპნელსაო. აქ არავითარი საიდუმლოება არ არისო, სთქვა მოწმემ. გერმანელებიც აკეთებდნენ ასეთს იარაღსაო.

გარტმანი დაბარებულ იქმნა ვექილის თხოვნით.

„Echo de Paris“-ი ამბობს, რომ ბერტულესისა და როჟეს ჩვენებათა ერთმანერთის წინააღმდეგობისა გამო საკასაციო პალატა შეიკრიბება იმის გამოსარკვევად—საჭირო ხომ არ არის დამატებითი გამოძიებაო.

ლემეტრი და „საფრანგეთის მამულიშვილთა ლიგის“ სხვა წევრნი დაბარებულ იქმნენ ზნეობის გამასწორებელ პოლიციის მიერ.

**პარიჟი.** ლუბე დაბრუნდა ელისეს სასახლეში. სადგურზე მრავალი ხალხი დაუხვდა ყვირილით: „გაუმარჯოს ლუბეს!“

**სტოკჰოლმი.** დოქტორმა მარტინმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ნორდენშილდს: „ტომსკის უნივერსიტეტმა დაადგინა გაჰგზავნოს ორისამი პროფესორი ანდრეს საძებნელად მდინარე პოდკამენისა და ტუნგუზის ანგარას შუა. თვით მე ოქროს მადნებისაკენ მივდივარ და იქიდგან ერთის კვირის შემდეგ დავბრუნდები. ლიალინის მოქმედება ჯერ ვერ შემიტყვია“.

**მ. დრიდი.** შინაგან საქმეთა მინისტრი იმ აზრისაა, რომ ანდალუზიასა და ჩრდილოეთისაკენ შემჩნეული აგიტაცია კარლოსის სასარგებლოდ მხოლოდ დროებითი იქმნება და ამ აგიტაციას არავითარი შედეგი არ მოჰყვება, რადგანაც აგიტაციას მომხრენი არა ჰყავსო. ჯერ აქამდეს, სთქვა მინისტრმა, საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამბოხება მოხდეს.

**ძინ ტაუ.** გერმანიის ჯარის კაცებმა დასწვეს ორი სოფელი ჯოუფუს მახლობლად და მერე დაბრუნდნენ აქ გემით.

28 მარტი.

**პეტერბურგი.** 27 მარტს, დანიის მეფის დაბადების დღეს ალექსანდრეს სასახლეში, ცარსკოე სელოში, ხელმწიფე იმპერატორთან გაიმართა საუზმე. საუზმის დროს ხელმწიფე იმპერატორმა წარმოსთქვა სადღეგრძელო დანიის მეფისა.

პეტერბურგში მყოფმა დანიელებმა 21 მარტს იდღესასწაულეს დანიის მეფის 81 წლის შესრულების დღე და გამართეს მეჯლისი კიუბას რესტორანში.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანა: აკრძალულ იქმნას გაზეთის „კიევლიანინის“ ცალკე ნომრების გაყიდვა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: აკრძალულ იქმნას გაზეთის „ნაროდის“ ცალკე ნომრებით გაყიდვა.

29 მარტი

**პეტერბურგი.** დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე საზღვარ-გარეთ წაბრძანდა.

**პარიჟი.** „ფიგარო“-ში დაბეჭდილია ჩვენებანი მერსიესი და ბილიოსი. მერსიემ განაცხადა, არ დავასახელებ იმ ყოვლად სანდო აგენტებს, რომელთაც ანრის გადასცეს საბუთის ქაღალდი „ეს საძაგელი დ.“—ს წარწერით და „ბორდერო“. დრეიფუსის დანაშაულობას ამტკიცებს ექსპერტიზა და ის გარემოება, რომ დრეიფუსი აირია, როდესაც მას წერილი წაუკითხეს. მერსიემ განაცხადა იმ საიდუმლო საბუთის ქაღალდების შესახებ არაფერს ვიტყვით, რომელნიც სამხედრო სასამართლოს ეუწყა და სთქვა, რომ ესტერგაზს არ შეეძლო ბორდერო შეედგინა, რადგანაც არ უწყოდა, რა საბუთის ქაღალდებია გაცემულიო. ბილიომ განაცხადა, მე დავრწმუნდი, რომ დრეიფუსი დამნაშავეაო. გენერალი გამოტყდა, რომ სამხედრო სასამართლოს dossier-ი საკმაო საბუთს არ იძლევა, მაგრამ განსამართლების დროს დრეიფუსის დანაშაულობაში უნდა დარწმუნებულიყვნენო. ბილლიომ დაუმატა, არ შეიძლება საიდუმლო dossier-ის საბუთის ქაღალდების დაწვრილებით გაჩხრეკა, რადგანაც საშიში პოლიტიკური ხასიათისააო.

**პარიჟი.** „Dailois“-ი იუწყება, რომ დელკასემ გუშინ ნიდერლანდის მთავრობისაგან ოფიციალური ქაღალდი მიიღო კონფერენციაზედ მიწვევისა.

**პეკინი.** საფრანგეთის და რუსეთის ჯარი, მისსიების დასაცველად გამოგზავნილი, გუშინ წავიდნენ პეკინიდან.

პეტერბურგის ბირჟა, 26 მარტი

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გარიგებისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5% [illegible] მომგებიანი [illegible] ფურცლები სახელმწიფო [illegible] აზნაურო ბანკისა . . . | — „ | — „ | 219½ |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 95⅝ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკისა . | 101 | — „ | |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | 100 | — | — „ |
| 4½% იმავე ბანკისა | — „ | 100 „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99¾ | — „ | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | 98½ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 286 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი | — „ | — „ | 254½ |

## წერილი რედაქციის მიმართ

რკინის გზის უფროსმა კონდუქტორმა ბ-ნმა იოსებ ასათიანმა კეთილ ინება ამავე გზის უფროს კონდუქტორად ნამყოფის კონსტანტინე მდივნის ძეგლის ასაგებად და სამის მისის ობლის სასარგებლოდ ფულის შეგროვება. რკინის გზის მოსამსახურეებმა, თითქმის გარეშეთაც, არ დაიშურეს ამ საქმისათვის თავიანთი წვლილი და შეძლებისა დაგვარად შემწეობა აღმოუჩინეს ამ საქმეს. ეხლა უმორჩილესად ვთხოვ ჩემის ამხანაგების მონდობილებით ბ-ნ ასათიანს გაზეთ „ივერიის“ საშუალებით წარმოგვიდგინოს ანგარიში და აგრეთვე შემომწირველთა სიაც.

რკინის გზის მოსამსახურე


# განცხადებანი

## იყიდება სახლი

მეორე თუმანოვის ქუჩა. ცხრ ოთახი ბანკის ვალით № 21 სოსიკო გელაშვილისა. (3—43—2)

## ვკისრულობ

ტაქსაციას და დაფასებას ტყეებისა-დაფასებას სოფლის მამულის წარ, მოებისა,

რაც შეიძლება ჩქარა ვასრულებ საქმეს სესხის გატანისას როგორც სამეურნეო, ისე სატყეო სარგებლობისათვის.

ალექსანდრე გრიგოლის ძე სნექკოვი. ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26, ტელეფონი № 567.

(20—3—20).

## იყიდება იაფად და პირიანად

სხვა-და-სხვა საგალანტერეინო საქონელი: ქოლგები, ხელთათმანები, მარაოები, ლენტები, არშიები, ჩულქები, კორსეტები, პირ-ბადეები და ქალისა და კაცის სხვა სამკაული

## შკაფი № 21.

თამამშევის ქარვასლაში, ფორაქოვის მაღაზიის პირდაპირ.

ყველა საქონელი კარგის ღირსებისაა.

(20—6.—17) ი. ნიკოლაშვილი


Дозволено цензурою, Тифлисъ 29-го Марта 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.